აუდიტორული ფირმა
შპს „პულსი-XXI"
SARAS-F-735944

Audit Company
"PULSI-XXI" LTD
SARAS-F-735944

№ 3-6 „04" 10 2021 წ.

კერძო და კონფიდენციალური

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის

პრეზიდენტს

ბატონ ლ.კობიაშვილს

ანგარიში ფაქტობრივ შედეგებზე

ა.ა.ი.პ საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919"

ბატონო ლევან,

2021 წლის 20 სექტემბრით დათარიღებული ხელშეკრულების(ხელშეკრულება) თანახმად ჩვენ ჩავატარეთ თქვენთან შეთანხმებული პროცედურები ა.ა.ი.პ საფეხბურთო კლუბ „ოდიში 1919"-თან(შემდგომში „ლიცენზიის მაძიებელი" ან „კლუბი") დაკავშირებით.

ჩვენი სამუშაო განხორციელდა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოცემული დაკავშირებულ მომსახურებათა შესახებ საერთაშორისო სტანდარტის N4400 „გარიგებები ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით შეთანხმებულ პროცედურებზე" შესაბამისად.

როგორც მოთხოვნილი იყო, ჩვენ შევასრულეთ მხოლოდ ის პროცედურები, რომელსაც მოიცავდა ხელშეკრულება და ამ პროცედურების ფაქტიური შედეგები ამ ანგარიშშია შეჯამებული.

ეს ანგარიში განკუთვნილია იმისათვის, რომ თქვენ დაგეხმაროთ 2021 წლის საფეხბურთო სეზონისათვის ლიცენზიის მაძიებლის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის(შემდგომში „სფფ") კლუბების ლიცენზირების დებულების 49-ე, 50-ე და 50′-ე მუხლებით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შეფასებაში.

ზუგდიდი ქუჯისქ №8/64
მობ.: 555 683 383
ს/კ 419982077

8/64, Kuji Str., Zugdidi, Georgia
Mob. (+995 555) 683 383
I/C 419982077

ვინაიდან შეთანხმებული პროცედურები არ განეკუთვნება აუდიტორულ ან მიმოხილვით გარიგებებს, რაც ხორციელდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე სახის რწმუნებას ლიცენზიის მაძიებლის სფფ-ის კლუბების ლიცენზირების დებულების 49-ე, 50-ე და 50'-ე მუხლებით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესაბამისობაზე.

იმ შემთხვევაში თუ ჩვენ ჩავატარებდით დამატებით პროცედურებს ან განვახორციელებდით აუდიტს ან მიმოხილვას აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, შესაძლოა სხვა საკითხებისათვის მიგვექცია ყურადღება, რის შესახებაც მოგახსენებდით.

ჩვენი ანგარიში ემსახურება მხოლოდ იმ მიზანს, რაზეც საუბარია ამ ანგარიშის მესამე აბზაცში. იგი მომზადებულია თქვენთვის და არ უნდა იქნას სხვა მიზნით გამოყენებული. ანგარიში არ უნდა იქნას გავრცელებული სხვა მხარეებზე, გარდა ლიცენზიის მაძიებლისა.

პატივისცემით ედიშერ ბულია

დირექტორი

04 ოქტომბერი 2021წ.

PULSI LLTD შპს პულსი XXI 419982077

დანართი-შეთანხმებული პროცედურები, ჩატარებული პროცედურები და ფაქტობრივი შედეგები

ა.ა.ი.პ საფეხბურთო კლუბი„ოდიში 1919“

შეთანხმებული პროცედურები	ჩატარებული პროცედურები	ფაქტობრივი შედეგები
1.სფფ-ს კლუბების ლიცენზირების დებულების 49-ე მუხლით განსაზრვრულ კრიტერიუმებთან მიმართებაში		
ა) ლიცენზიის მაძიებლის ხელმღვანელობის მიერ მომზადებული ტრანსფერების ცხრილის მიღება სფფ-ს დადგენილი ფორმით.	კლუბის ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილ იქნა სფფ-ს მიერ დადგენილი ფორმით მომზადებული ტრანსფერების ცხრილი.კლუბს საანგარიშგებო პერიოდში სატრანსფერო ოპერაციები არ უწარმოებია.	შეუსაბამობები არ გამოვლენილა
2.სფფ-ს კლუბების ლიცენზირების დებულების 50-ე მუხლით განსაზრვრულ კრიტერიუმებთან მიმართებაში		
ა)ლიცენზიის მაძიებლის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული თანამშრომელთა უწყისის მიღება სფფ-ს მიერ დადგენილი ფორმით.	კლუბის ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილ იქნა სფფ-ს მიერდადგენილიფორმითმომზადებული თანამშრომელთაუწყისი	შეუსაბამობები არ გამოვლენილა
ბ) თანამსრომელთა უწყისში ჯამური თანხის შედარება 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით წლიური ფინანსური ანგარიშგებების“თანამშრომლებთან დაკავშირებულ ვალდებულების“ თანხასტან	ჩვენს მიერ თანამშრომელთა უწყისის ჯამური თანხა შედარებულ იქნა 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით შედგენილი საბალანსო უწყისის მუხლთან „ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ“	შეუსაბამობები არ გამოვლენილა
გ)კლუბის მიერ განსაზღვრული თანამშრომლების რაოდენობის დასტურის წერილების მიღება, შემოწმება და შედარება თანამშრომელთა უწყისში მოცემულ ინფორმაციასთან(არსებული დავალიანების თანხა, დავალიანების დაფარვის თარიღი და თანხა	მოვიპოვეთ სფფ-ს ლიცენზირების დებულების 27-35(1) მუხლების შესაბამისად კლუბის მიერ განსაზღვრული საკადრო ერთეულებისა და მნიშვნელოვანი მმართველი პერსონალის დასტურის წერილები და შევადარეთ თანამშრომელთა უწყისში მოცემულ ინფორმაციას	შეუსაბამობები არ გამოვლენილა
დ) 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით არსებული თანამშრომელთა ვალდებულებების შესახებ, რომელიც ეხება თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ან იურიდიული ვალდებულებებიდან გასულ 31 აგვისტომდე წარმოქმნილ ვალდებულებებს, კლუბის ხელმძღვალელობის გამოკითხვა: 1.მიღწეულია თუ არა შეთანხმება გადახდის გადავადების შესახებ 2.ხომ არ წარმოიშვა დავა(საჩივარი) სასამართლო პროცესი	კლუბს 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით თანამშრომელთა მიმართ დავალიანებები არ ერიცხება.	
ე) კლუბის მიერ განსაზღვრული გადახდების რაოდენობის დამადასტურებელი საბანკო ტრანზაქციების ბუღალტრული ჩანაწერების შესაბამისი საბანკო ამონაწერის შედარება ვალდებულების ცხრილში მოცემულ ინფორმაციასთან(გადახდის თარიღი,თანხა) და შერჩეული გადახდის მონიშვნა		

3.სფფ-ს კლუბების ლიცენზირების დებულების 50-ე მუხლით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან მიმართებაში		
ა)კლუბის ხელმძღვალელობის მიერ მომზადებული საგადასახადო ცხრილის მიღება სფფ-ს მიერ დადგენილი ფორმით	ჩვენ მოვიპოვეთ კლუბის ხელმძღვანელობის მიერსფფ-ის მიერ დადგენილი ფორმით მომზადებული საგადასახადო ცხრილი.	შეუსაბამობა არ გამოვლენილა.
ბ) საგადასახო ცხრილში ჯამური გადახდილი თანხის შეჯერება 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით წლიური ფინანსური ანგარიშგების საგადასახადო ვალდებულების“ თანხასთან	საგადასახადო ცხრილის ჯამური თანხა შევადარეთ 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით მომზადებული საბალანსო უწყისის მუხლს „საგადასახადო ვალდებულებები“	შეუსაბამობები არ გამოვლენილა
გ) კლუბის ხელმღვალელობის გამოკითხვა 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით არსებული საგადასახადო ორგანოების მიმართ გადახდილ თანხასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება თანამსრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან ან იურიდიულ ვალდებულებებთან დაკავშირებულ გადასახადებს და რომელიც წარმოიქმნა 2021 წლის 31 აგვისტომდე 1) მიღწეულია თუ არა შეთანხმება გადასახადის გადავადების შესახებ ან 2) ხომ არ წარმოიშვა დავა(საჩივარი) სასამართლო პროცესი.	კლუბს 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით საგადასახადო ორგანოების მიმართ დავალიანება არ ერიცხება.	
დ)კლიენტების მიერ განსაზღვრული რაოდენობის გადახდების საბანკო ტრანზაქციების ბუღალტრული ჩანაწერების შესაბამისი საბანკო ამონაწერის შედარება ვალდებულებების ცხრილში მოცემულ ინფორმაციასთან(გადახდის თარიღი, თანხა) და შერჩეული გადახდების მონიშვნა		

შ.პ.ს „პულსი XXI“–ის დირექტორი: ე.ბულია

04.10.2021 წ.

ა.ა.ი.პ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის

საფეხბურთო კლუბი

„ოდიში 1919“

ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ზუგდიდი

ოქტომბერი 2021

აუდიტორული ფირმა
შპს „პულსი-XXI"
SARAS-F-735944

Audit Company
"PULSI-XXI" LTD
SARAS-F-735944

№ 125 „04" 10 2021 წ.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ადრესატი: ა.ა.ი.პ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919"

მოდიფიცირებული მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ ა.ა.ი.პ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919"-ის (შემდეგში „კომპანია" ან/და „ლიცენზიისმაძიებელი") სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. ანგარიშგება შედგება 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით მომზადებული საბალანსო უწყისისგან, მოგება-ზარალის უწყისისგან, ფულადი სახსრების მოძრაობების უწყისისგან და ახალგაზრდული ფეხბურთის ხარჯების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველი" - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ა.ა.ი.პ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919"-ის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ პერიოდისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის მიერ 2013 და 2018 წლებში ა.ა.ი.პ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ოდიში-1919"-ს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით.

ზუგდიდი ქუჯის ქ. №8/64
მობ.: 555 683 383
ს/კ 419982077

8/64. Kuji Str.. Zugdidi. Georgia
Mob. (+995 555) 683 383
I/C 419982077

ყველა შემთხვევაში უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა განხორციელდა, ნომინალური(საბაზრო) ღირებულების დადგენისა და შესაბამის დოკუმენტებში ასახვის გარეშე, რის შედეგად ქონების ღირებულებითი მაჩვენებლები

არ არის ასახული საბუღალტრო აღრიცხვაში(დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში „უზუფრუქტი“).

ვინაიდან უსასყიდლო უზუფრუქტი წარმოადგენს სახელმწიფო დახმარების ფორმას ის აღირიცხება უზუფრუქტის ობიექტის ნომინალური(საბაზრო) ღირებულებით გადავადებული შემოსავლების სახით, რომლის სახელმწიფო საგრანტო შემოსავლად აღიარება ხდება ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის შესაბამისად, რაც ზემოთაღნიშნული გარემოების შედეგად ფაქტობრივად არ განხორციელებულა და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში(საბალანსო უწყისი) ასახული მთლიანი ვალდებულებების, დაუფარავი ზარალის, სულ ვალდებულებებისა და კაპიტალის თანხობრივი მაჩვენებლები შეიცავენ უზუსტობას.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ა.ა.ი.პ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ოდიში-1919“-სგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოდიფიცირებული მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას. ამასთან, დავადგინეთ, რომ - „მოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილი საკითხის გარდა, სხვა განხილული საკითხებიც აუდიტის ძირითადი საკითხებია, რომელთა შესახებაც ინფორმირება აუცილებელია ჩვენს დასკვნაში.

ხელმძღვანელობისა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვალელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ა.ა.ი.პ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919"-ის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კლუბის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ციმინტია.

გარიგების პარტნიორი: ო.ციმინტია

საქართველო, ზუგდიდი, ქუჯის ქ. N8/64

04.10.2021 წ.

klubebis licenzirebisa da monitoringis sistema
sabalanso uwyisi
(erovnuli licenzireba)

ლიცენზიის მაძიებელი:

ა.ა.ი.პ საფეხბირთო კლუბი "ოდიში 1919"

sabalanso uwyisi	31.08.2020	31.08.2019
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	15 952	17 097
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება		
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება		
სხვა დებიტორული დავალიანება		
საგადასახადო აქტივები		
მატერიალური მარაგები		
სხვა მიმდინარე აქტივები		
მთლიანი მიმდინარე აქტივები	**15 952**	**17 097**
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	28 130	36 130
არამატერიალური აქტივები - მოთამაშეები	-	
არამატერიალური აქტივები - სხვა	-	
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება	-	
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება	-	
საგადასახადო აქტივები	-	
ინვესტიციები	-	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები	**28 130**	**36 130**
მთლიანი აქტივები	**44 082**	**53 227**
მიმდინარე ვალდებულებები		
ბანკის ოვერდრაფტები	-	
ბანკის და სხვა სესხები	-	
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	-	
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება	-	
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	-	
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება	-	
დარიცხული ვალდებულებები და გადავადებული შემოსავალი	-	
მოკლევადიანი ანარიცხები	-	
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	-	
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	**-**	**-**
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ბანკის და სხვა სესხები	-	
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	-	
ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება/სესხები	-	
თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები	-	
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება	-	
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	-	
გრძელვადიანი ანარიცხები	-	
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	**-**	**-**
სულ ვალდებულებები	**-**	**-**
მთლიანი აქტივებს / (ვალდებულებებს)	**44 082**	**53 227**
საკუთარი კაპიტალი		

klubebis licenzirebisa da monitoringis sistema
sabalanso uwyisi
(erovnuli licenzireba)

ლიცენზიის მაძიებელი:

ა.ა.ი.პ საფეხბირთო კლუბი "ოდიში 1919"

sabalanso uwyisi	31.08.2020	31.08.2019
სააქციო/საწესდებო კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება	62 622	(9 042)
სხვა რეზერვები	(18 540)	62 269
მთლიანი საკუთარი კაპიტალი	**44 082**	**53 227**
მთლიანი საკუთარი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები	44 082	53 227
კონტროლი (მთლიანი აქტივები = მთლიანი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები)	**ИСТИНА**	**ИСТИНА**
მთლიანი კაპიტალის შესაბამისობის შემოწმება		
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საწყისი ბალანსი	53 227	44 185
პერიოდის მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდგომ	62 624	9 042
კაპიტალის გაზრდა/კონტრიბუცია საკუთარ კაპიტალში		
ცვლილება გადაფასების რეზერვში		
სხვა მოძრაობები საკუთარ კაპიტალში/რეზერვებში პერიოდის განმავლობაში	(71 769)	
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საბოლოო ბალანსი	44 082	53 227
შემოწმება	**ИСТИНА**	**ИСТИНА**
მოთამაშეთა რეგისტრაციის დანახარჯები		
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის დასაწყისში		
პერიოდის განმავლობაში გაწეული დანახარჯი		
დაგროვილი დანახარჯის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად		
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის ბოლოს	-	-
მოთამაშეთა რეგისტრაციის ამორტიზაცია		
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის დასაწყისში		
პერიოდის ამორტიზაციის დარიცხვა	-	-
დაგროვილი ამორტიზაციის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად		
გაუფასურების ანარიცხები პერიოდში	-	-
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის ბოლოს	-	-
ნეტო საბალანსო ღირებულება		
პერიოდის დასაწყისში	-	-
პერიოდის ბოლოს	-	-
შემოწმება	**ИСТИНА**	**ИСТИНА**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის: 28.09.2020

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):

საფინანსო სამსახურის უფროსი–ნაზი ბარამია თარიღი: 28.09.2020

ლიცენზიის მაძიებელი:

ა.ა.ი.პ საფეხბურთო კლუბი "ოდიში 1919"

mogeba-zaralis uwyisi	31.08.2020	31.08.2019
ამონაგები ბილეთებიდან - ეროვნული შეჯიბრებები		
ამონაგები ბილეთებიდან - უეფას შეჯიბრებები		
ამონაგები ბილეთებიდან - აბონემენტები		
ამონაგები ბილეთებიდან - საწევროები		
ამონაგები ბილეთებიდან - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი		
სულ ამონაგები ბილეთებიდან	-	-
სპონსორობა და რეკლამა - დამამზადებელი/მწარმოებელი სპონსორი		
სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი		
სპონსორობა და რეკლამა - სტადიონის სპონსორი		
სპონსორობა და რეკლამა - რეკლამები მოედნის პერიმეტრზე და დაფებზე		
სპონსორობა და რეკლამა - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი		
სულ სპონსორობა და რეკლამა	-	-
ტელეტრანსლაციის უფლებები - ეროვნული შეჯიბრებები		
ტელეტრანსლაციის უფლებები - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი		
სულ ტრანსლაციის უფლებები	-	-
კომერციული - ეროვნული შეჯიბრებები		
კომერციული - საქონლის გაყიდვა		
კომერციული - ინფრასტრუქტურის გამოყენება არასამატჩო დღეებში		
კომერციული - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი		
სულ კომერციული	-	-
უეფას საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები		
უეფას საკლუბო შეჯიბრებები - სოლიდარობის გადასახადი		
უეფას სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი		
სულ უეფას სოლიდარობის და საპრიზო თანხა	-	-
სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან	149 620	121 975
სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან	246 020	152 407
შემოწირულობები არადაკავშირებული მხარეებისგან	2 590	
შენატანები/შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებისგან	44 082	21 000
შემოსავალი არასაფეხბურთო საქმიანობებიდან		
განსაკუთრებული (გამონაკლისი) შემოსავალი		
სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არა არის გამოყოფილი		
სულ სხვა შემოსავალი	**442 312**	**295 382**
სულ შემოსავალი	[illegible]	[illegible]
რეალიზებული პროდუქციის/მასალების ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი		
სულ ხარჯები რეალიზებულ პროდუქციაზე/მასალებზე	-	-
ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება	(81 535)	(56 174)
ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები	(23 174)	(15 608)
ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი	(17 045)	(9 052)
სულ ფეხბურთელების მომსახურების ხარჯები	**(121 754)**	**(80 834)**
სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება	(175 779)	(147 298)
სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები	(47 058)	(41 109)
სხვა თანამშრომლების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი	(3 810)	(320)
სულ სხვა თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	**(226 647)**	**(188 727)**
თანამშრომლების მომსახურების ხარჯები, რომლებიც ცალკე არა არის გამოყოფილი		
სულ თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	**(348 401)**	**(269 561)**

klubebis licenzirebisa da monitoringis sistema
mogeba-zaralis uwyisi
(erovnuli licenzireba)

ლიცენზიის მაძიებელი:

ა.ა.ი.პ საფეხბურთო კლუბი "ოდიში 1919"

mogeba-zaralis uwyisi	31.08.2020	31.08.2019
ძირითადი საშუალებების ცვეთა		(8 056)
სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციისა)		
ძირითადი საშუალებების და სხვა არამატერიალური აქტივების გაუფასურება		
სულ ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციებისა)	**-**	**(8 056)**
მატჩის დღის ხარჯები	(7 288)	(1 965)
სპონსორობისა და რეკლამირების ხარჯები		
კომერციული აქტივობების ხარჯები		
უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები	(12 086)	(1 368)
არასაფეხბურთო საქმიანობების ხარჯები		
განსაკუთრებული (გამონაკლისი) ხარჯები		
სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	(11 913)	(5 390)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	**(31 287)**	**(8 723)**
სულ საოპერაციო ხარჯი (ფეხბურთელების რეგისტრაციის გარეშე)		
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაუფასურება (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		
მოგება გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		
ზარალი გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		
წმინდა შედეგი ფეხბურთელების გაყიდვებიდან კაპიტალიზაციისა და ამორტიზაციის მეთოდის გამოყენებით	-	-
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან/გასვლიდან		
მოგება/(ზარალი) სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან		
სულ მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან	-	-
ფინანსური შემოსავალი		
ფინანსური ხარჯი		
წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)	-	-
სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო)		
სხვა ხარჯი (არასაოპერაციო)		
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)	-	-
საგადასახადო შემოსავალი/(ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ	62 624	9 042
დივიდენდები		
მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდეგ	62 624	9 042

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]- თვის: 28.09.2020

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):

საფინანსო სამსახურის უფროსი –ნაზი ბარამია თარიღი: 28.09.2020

klubebis licenzirebisa da monitoringis sistema
fuladi saxsrebis moZraobis uwyisi
(erovnuli licenzireba)

ლიცენზიის მაძიებელი:

ა.ა.ი.პ საფეხბურთო კლუბი "ოდიში 1919"

fuladi saxsrebis moZraobis uwyisi	31.08.2020	31.08.2019
წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფეხბურთელების რეგისტრაციების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	-
მოთამაშეთა რეგისტრაციების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები	-	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	-
ძირითადი საშუალებების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები	-	-
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან, რომელიც არ არის ცალკე გამოყოფილი	-	-
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - მეწილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე	-	-
(გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - მეწილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე	-	-
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - საფინანსო დაწესებულებები	-	-
(გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - საფინანსო დაწესებულებები	-	-
სააქციო/საწესდებო კაპიტალის გაზრდით მიღებული ფულადი სახსრები	-	-
(გადახდილი) ფულადი სახსრები მეწილეებისთვის/აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდიდან	-	-
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	-	-
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან	-	-
სხვა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა)		
ნაღდი ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საანგარიშგებო პერიოდში		
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების რეკონსილაცია		
საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ბალანსი		
წმინდა ფულადი ნაკადები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში	-	-
საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ბალანსი	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გამოკლებული ბანკის ოვერდრაფტები (საბალანსო უწყისიდან)	15 952	17 097

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის: 28.09.2020

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):

საფინანსო სამსახურის უფროსი–ნაზი ბარამია თარიღი: 28.09.2020

licenzis maZiebeli:
შ.პ.ს საფეხბურთო კლუბი "ოდიში 1919"

axalgazrduli fexburTis xarjebisa da Semosavlebis uwyisi	Sen.	31.12.2019	31.12.2018	komentari
xarjebi				
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები, იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც სრულად არიან ჩართული ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაში		222836		
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (18-წლამდე)				
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (19-დან 21-წლამდე)				
საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფის ხარჯები (ფეხბურთელების საცხოვრებელი , სასტუმროები და სხვ.)				
სამედიცინო დანახარჯები (სამედიცინო მომსახურება, რეაბილიტაცია, ვიტამინიზაცია)				
აფგ პროგრამაში ჩართულ პირთა (მწვრთნელები, ფეხბურთელები) სწავლის გადასახადი				
აფგ პროგრამით გათვალისწინებული მივლინებები (ტრანსპორტირების ჩათვლით)				
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სადღეღამისო დანახარჯები				
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სპორტული ფორმა, ეკიპირება და ინვენტარი				
აფგ პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ხარჯი (ახალგაზრდული გუნდების სავარჯიშო და სათამაშო სტადიონი და/ან ბაზა - მშენებლობა / მოვლა / ქირა; ოფისის კომუნალური გადასახადები / ქირა)				
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების ტურნირებში მონაწილეობის გადასახადი				
ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების საქმიანობაზე უშუალოდ მისაკუთვნებელი სხვა დანახარჯები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში! (მაგ.: ოპერატორი და სხვ.)		23183		
sul afg programis xarjebi		**246018**		
უშუალოდ აფგ პროგრამის მთლიანი შემოსავალი (სწავლების საფასური, საწევროები და ა.შ.)		261520		
უეფადან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის				
სფფ-დან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის		15500		15500 ლაზე გამოცხადებულია ტენდერი
სახელმწიფოსგან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის		246020		
ახალგაზრდული ფეხბურთისთვის მისაკუთვნებელი სხვა შემოსავლები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში!				
uSualod afg programisTvis misakuTvnebeli mTliani Semosavali				
wminda Sedegi		15502	0	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კატეგორიის მაძიებელი იურიდიული ერთეულის უფლებამოსილი პირის მიერ:

უფლებამოსილი პირი: დირექტორი შ.ფარცვანია
თარიღი: **20.09.2021**

ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულია აუდიტორული კომპანიის მიერ:

აუდიტორული კომპანია: **შპს პულსი-XXI**
უფლებამოსილი წარმომადგენელი: ედიშერ ხულია
თარიღი: **04.10.2021**

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

ა.ა.ი.პ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“ (შემდგომში „კლუბი“) რეგისტრირებულია 2012 წლის 25 აპრილს. მარეგისტრირებელი ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 419985582.

კლუბის დამფუძნებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტი 100-% წილით.

კლუბის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.ზუგდიდი, რუსთაველის ქ.# 90.

„კლუბის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საფეხბურთო კლუბის საქმიანობა, ფეხბურთელთა წვრთნები და ტურნირებში მონაწილეობა.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.

1.1 წარდგენის საფუძველი

ა.ა.ი.პ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-ის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს პერიოდს 2021 წლის 1 იანვრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებული და წარდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა დამრგვალებულია სრულ ლარებამდე.

კლუბის მიერ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში წარდგენის მიზნით. დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 20 სექტემბერს.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები შესაბამისობის პრინციპი

2.1 აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და მცირე და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SME) 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB-ის) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ეს არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები. ამასთანავე ანგარიშგება ითვალისწინებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის კლუბების ლიცენზირების მოქმედი დებულების 48, 49, 50 და 501-ემუხლების მოთხოვნებს ანგარიშგების წარდგენის შესახებ.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება საბალანსო უწყისისიგან, მოგება-ზარალის უწყისისგან, ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისისაგან, ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯების ანგარიშგებისაგან და განმარტებითი შენიშვნებისგან.
რადგან 2021 წლის 31 აგვისტოს ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს ბასს-ის (IASB-ის) ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC-ის) მიერ, მენეჯმენტი არ გამორიცხავს ალბათობას, რომ საბოლოო ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

2.2 შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების მეთოდი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა გვარად არის განსაზღვრული.

2.3 ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების ზარალიანობა და საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

2.4 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე, როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

2.5 მიღებული გრანტების და სახელმწიფო დაფინანსების აღრიცხვისას გამოიყენება შემოსავალის-მეთოდი, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.
გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-

ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვამოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგებაზარალის ანგარიშგებაში.

შენიშვნა 3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არა მატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთაან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილისგან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებულია ქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებთ განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

შენიშვნა 4. უზურფრუქტი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 11 ოქტომბრის #127 განკარგულების საფუძველზე 2013 წლის 23 ოქტომბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ა(ა)იპ მუგდიდის მუნიციპალიტეტის „ფეხბურთისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრ“-ს შორის გაფორმდა უსასყიდლო უზურფრუქტის ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი რომელთა მიხედვით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ ფეხბურთისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრს გადაეცა ზუგდიდის რაიონ ს.ჭითაწყარში მდებარე 24908,0 კვ.მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული #1 შენობა - ნაგებობა განაშენიანების ფართით 54,41 კვ.მეტრი (საკადასტრო კოდი 43.14.43.219).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 24 აგვისტოს #1338 ბრძანების პირველი მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად ა(ა)იპ „ფეხბურთისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრს“ ეწოდა „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ოდიში-1919“, ხოლო 2-ე მუხლით დამტკიცდა წესდების ახალი რედაქცია ანუ როგორც სამართალმემკვიდრეზე ყველა სახის აქტივი, ვალდებულება და მოთხოვნები (მ.შ. უზურფრუქტით მიღებული უძრავი ქონება) გადაეცა „ოდიში 1919“-ს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 07 მარტის #940 ბრძანებით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ოდიში-1919“-ს უვადოდ, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაეცა ზუგდიდის რაიონი სოფ.ჩხორიაში მდებარე 16183,0 კვ.მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მმიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (საკადასტრო კოდი: 43.01.47.059).

ყველა შემთხვევაში უძრავი ქონების უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადაცემა განხორციელებულია ნატურალურად, ქონების ნომინალური (საბაზრო) ღირებულების დადგენისა და შესაბამის დოკუმენტებში მითითების გარეშე.

გამომდინარე იქიდან, რომ უსასყიდლო უზურფრუქტი წარმოადგენს სახელმწიფო დახმარების ფორმას, ის აღირიცხება უზურფრუქტის ობიექტის ნომინალური (საბაზრო) ღირებულებით გადავადებული შემოსავლების სახით, რომლის სახელმწიფო საგრანტო შემოსავლად აღიარება ხდება ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის შესაბამისად, რაც ზემოთაღნიშნული მიზეზის შედეგად „კლუბი“-ს მიერ ვერ იქნა განხორციელებული.

შენიშვნა 5 არამატერიალური აქტივები (მოთამაშე)

ფეხბურთელის რეგისტრაციის/შეძენის ხარჯი ასახულია არამატერიალური აქტივების სახით და ამორტიზირებულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ გამოშვებული კლუბების ლიცენზირების დებულებების დანართი IV-ის მიხედვით

შენიშვნა N6 ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში. შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ჯგუფების ცვეთისათვის: ძირითადი საშუალო სარგებლობის ვადა

ოფისისაღჭურვილობა	5
სხვააქტივები	5
არამატერიალურიაქტივი (ვებგვერდი)	7

შენიშვნა 7. ნარჩენი ღირებულება

არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯებისგამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

შენიშვნა 8. შემოსავლისა და ხარჯების აღიარება

განვლილ პერიოდში მიღებული სუბსიდიები, შემოწირულობები, და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან, შემოწირულობები და სხვა არადაკავშირებული მხარიდან მიღებულიშემოსავლები, აღიარებულია შემოსავალში დარიცხვის მეთოდით, რომლის მიხედვითაც მსგავსი შემოსავლები აღიარდება მოგებაში ან ზარალში სისტემურ საფუძველზე, იმ საანგარიშო პერიოდებში, რომელშიც საწარმო ხარჯად აღიარებს დანახარჯებს, რომელთა დაფინანსებაც გრანტის მეშვეობით ხდება, ხოლო სხვა საოპერაციო შემოსავლები დარიცხვის მეთოდით. ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

შენიშვნა 9. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით

წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

შენიშვნა 10. მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და სუფთა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა და ანგარიშგებაში ასახვა ხდება ინდივიდუალურ დანახარჯთა მეთოდით.

შენიშვნა 11. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

შენიშვნა 12. პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

შენიშვნა 13. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კლუბის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებსა და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს მომავალ პერიოდში.

შენიშვნა 14. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	31.08.2020	31.08.2021
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	17097	15952
სულ ფულადი სახსრები და მათიექვივალენტები	**17097**	**15952**

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს,როგორც არა სარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

შენიშვნა: 15. „სულ შემოსავლები“

კლუბის მიერ წარმოდგენილი, 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით შედგენილი მოგება–ზარალის უწყისისა და საბუღალტრო(სახაზინო) მონაცემების შემოწმებით დგინდება, რომ 2021 წლის 8 თვეში დაფინანსების სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულია შემოსავალი **395 640.0** ლარი, აქედან:

1.ა.ა.ი.პ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან
საბაზისო დაფინანსების სახით 102 000.0 ლარი;

2. ა.ა.ი.პ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან არადაკავშირებული მხარეების მეშვეობით შემოწირულობების სახით მიღებული სპონსორული დახმარების კომპენსაციის თანხა სტიმულირების სახით	29 530.0 ლარი;
3. ა.ა.ი.პ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან სპორტული სკოლების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში	15 500.0 ლარი;
4.ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიიდან სპორტული სკოლების ხარჯების დაფარვის დანიშნულებით	246 020.0 ლარი;
5.არადაკავშირებული მხარეებიდან სპონს.დახმარება	2 590.0 ლარი
სულ	**395 640.0 ლარი**

შენიშვნა: 16 " დავალიანებები".

„კლუბი"-ს მიერ 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში(საბალანსო უწყისი) ფეხბურთელების, სხვა თანამშრომლების, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, საგადასახადო ორგანოებისა და მომწოდებლების მიმართ დავალიანებები არ ირიცხება, რაც დასტურდება ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგებით.

შენიშვნა : 17 ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი.

ხარჯები	**31.08.2021**	**31.08.2020**
-მივლინების ხარჯები	2385.0	1025.0
-სამედიცინო ხარჯები	4390.0	655.21
-ტრანსპორტის მომსახურება	2800.0	1792.21
-სპ.აღჭურვილობა და ეკიპირება	1218.0	2490.0
-სასტუმრო კვებით	4900.0	2800
-სხვა დანარჩენი ხარჯები	1352.0	290
ჯამი	**17045.0**	**9052.42**

შენიშვნა: 18. სხვა თანამშრომელთა ხარჯები რომლიც ცალკე არ არის გამოყოფილი

–ამ მუხლით გაწეულია 3810.0 ლარის ხარჯი, რომელიც წარმოადგენს მივლინების ხარჯებს(ადმინისტრაციული პერსონალი, მწვრთნელები).

შენიშვნა: 19 სხვა საოპერაციო ხარჯები რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი

ხარჯები	31.08.2021	31.08.2020
-სამეგრელო ზემო სვანეთის ფეხბურთის ფედერაციის საწევრო(სპორტსკოლის ტურნირები)	2227.0	–
-ტრანსპორტის ექსპ. ხარჯები(საწვავი)	8380.85	2675.08
–საკანცელარიო ხარჯები	400.0	400.0
-აუდიტორული მომსახურეობის	700.0	–
–ელ. ენერგიის ხარჯი	0	44.7
-რეესტრი და გადასახადები	94	–
–სარემონტო მასალები(მილები)	111	–
ჯამი	**11912.9**	**5390.08**

შენიშვნა 20. „ახალგაზრდული ფეხბურთის ხარჯები და შემოსავლები“

ახალგაზრდული ფეხბურთისა და სპორტული სკოლების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი მერიის თანხა 246020 ლარიდან საკასო ხარჯი 8 თვეში სეადგენს 246018.0 ლარს, საიდანაც ხელფასები(დარიცხვის გარეშე) გაცემულია 175 779.0 ლარი, ხაზინას გადაერიცხა 47 058.0 ლარი, სხვა დანარჩენი ხარჯები შეადგენს 23 183.0 ლარს.

სპორტული სკოლების ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ა.ა.ი.პ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან მიღებული 15 500.0 ლარი 31 აგვისტოს მდგომარეობით ათვისებული არ არის. კლუბის მიერ ფასეულობათა სერჩევა–შესყიდვის მიზნით გამოცხადებულია ტენდერი.